ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3057723

ნომერი: AR1465534

თარიღი : 20.12.2016

გაცემის თარიღი : 03.02.2017

გაცნობის თარიღი : 03.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , N 4 , (ნაკვ.24/004) , (იგივე III მასივი, VII კვარტალი, კორპუსი N4);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ კვიჟინაძე პ/ნ 01008030498
- თბილისი, ი.აბაშიძის 66

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2394189 და 2016 წლის 22 მარტის№2495717 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 20 დეკემბერს №AR1465534 განცხადებით მომართა თამარ კვიჟინაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 28

იანვრის №2394189 და 2016 წლის 22 მარტის №2495717 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2394189 ბრძანებით ქ. თბილისში, კალოუბანის ქ. №4, (ნაკვ. 24/004), (იგივე III მასივი, VII კვარტალი, კორპუსი №4), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.19.20.024.004) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 28 იანვრიდან 2017 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით. ამავე ბრძანების მე–4 პუნქტით დამკვეთს დაევალა ბრძანების გამოცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების შესაბამისად შედგენილი კრების ოქმის, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობაში ახალი წევრების (დამფუძნებელი წევრების გარდა) მიღების ან დამფუძნებელი წევრების გასვლის შემთხვევაში, მათი ამხანაგობაში მიღების/ამხანაგობიდან გასვლის ამსახველი დოკუმენტაციისა და იმ მესაკუთრეების (და შესაბამისი იპოთეკარების) თანხმობების, რომელთა საკუთრების საგანიც (იპოთეკის საგანი) იცვლება კორექტირებით, სამსახურში წარმოდგენა. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა №2394189 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი იყო. ამავე სამსახურის 2016 წლის 22 მარტის №2495717 ბრძანებით დამკვეთს – ამხანაგობა „ვარკეთილი 2006–ის" თავმჯდომარე თამარ კვიჟინაძეს სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2394189 ბრძანებით დადგენილი პირობა შესრულებულად ჩაეთვალა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2394189 და 2016 წლის 22 მარტის №2495717 ბრძანებებში ტექნიკური ხარვეზია, კერძოდ, ფართობების არასწორად დაანგარიშების გამო ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოსა და დამხმარე ფართობები არასწორადაა დაფიქსირებული. განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორებას და წარმოადგინა გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები – კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:1898.47, დამხმარე ფართობი (კვ.მ).:411,76;
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2394189 და 2016 წლის 22 მარტის №2495717 ბრძანებებში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:1898.47, დამხმარე ფართობი (კვ.მ).:411,76; სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2394189 და 2016 წლის 22 მარტის №2495717 ბრძანებები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2394189 და 2016 წლის 22 მარტის №2495717 ბრძანებებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.